ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 242

« 2 » აგვისტო 2016 წ.

ქ. თბილისი

თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის თავმჯდომარის, კომისიის თავმჯდომარის მოადგილისა და კომისიის სხვა წევრთა საქმიანობის ანაზღაურების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. განისაზღვროს თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის თავმჯდომარის, კომისიის თავმჯდომარის მოადგილისა და კომისიის სხვა წევრთა საქმიანობის ანაზღაურება დანართის შესაბამისად.

2. განკარგულების დანართით განსაზღვრული თანხები ანაზღაურდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი

დანართი
დამტკიცებულია
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2016 წლის 2 აგვისტოს N 242 განკარგულებით

თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის თავმჯდომარის, კომისიის თავმჯდომარის მოადგილისა და კომისიის სხვა წევრთა საქმიანობის ყოველთვიური ანაზღაურება

N	თანამდებობის დასახელება	ყოველთვიური სარგო
1	კომისიის თავმჯდომარე	2600 ლარი
2	კომისიის თავმჯდომარის მოადგილე	1500 ლარი
3	კომისიის წევრი (კომისიის მდივანი)	1300 ლარი
4	კომისიის წევრი	1000 ლარი